ქართული და ამერიკული პოლიტიკური თოქშოუების გამხსნელი მარკერების შეპირისპირებით ანალიზი

სალომე დვალიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Salome.dvalishvili5@atsu.edu.ge

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ქართული და ამერიკული პოპულარული პოლიტიკური თოქშოუების გამხსნელი მარკერების შეპირისპირებით ანალიზს. გამხსნელი სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დისკურსში. ეს სიგნალები განსხვავდებიან ეროვნული და კუტურული თავისებურებების მიხედვით. ჩემი მიზანია, განვიხილო შემდეგი ქართული და ამერიკული პოლიტიკური თოქშოუები: რექცია, გიორგი თარგამაძის ფორმულა, იმედი live, პოლიტმეტრი, სანაია, JUSTICE, RED&BLUE, All in with Chris Hayes, REPORTS, PRIMTIME WITH JOHN DICKERSON და გადაცემების შესავლის სტრუქტურის და ენობრივი რეალიზაციის შესწავლის შემდეგ გამოვავლინო სპეციფიკური მარკერები: რა სიგნალები გამოიყენება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ თოქშოუებში? რამდენად ფიქსირდება თოქშოუებში გადაცემის გახსნის ელემენტების თანმიმდევრობა? სტუმრების წარდგენაში შეინიშნება თუ არა რაიმე განსხვავება? და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკური თოქშოუ, გახსნის მარკერები, მისალმება, მონოლოგი*

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ქართული და ამერიკული პოპულარული პოლიტიკური თოქშოუების გამხსნელი მარკერების შეპირისპირებით ანალიზს. ნებისმიერ საკომუნიკაციო აქტში არის სპეციალური მარკერები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ კომუნი-კაცია უნდა დაიწყოს. გადაცემის გამხსნელი სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დისკურსში. ეს მარკერები განსხვავებულადაა წარმოდგენილი სხვადასხვა ენასა და კულტურაში. კულტურული მრავალფეროვნება გავლენას ახდენს თოქშოუს დასაწყისზე, მისი გახსნის ხანგრძლივობაზე, მონოლოგის შინაარსზე, ასევე რამდენად თავაზიანები არიან წამყვანები მოწვეული სტუმრებისადმი და პირიქით. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შევისწავლე ქართული და ამერიკული სატელევიზიო თოქშოუს შესავალი განყოფილებების სქემატური სტრუქტურა და ენობრივი რეალიზაცია.

ამერიკული პოლიტიკური თოქშოუ "JUSTICE"-ის წამყვანი ესალმება მსმენელს, ახსენებს გადაცემის სახელს და წარუდგენს თავს: *"Hello and welcome to JUSTICE. I am Judge*

Jeanine Pirro.Thanks so much for being with us tonight.“ „გამარჯობა და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება JUSTICE-ში. მე ვარ ექსპერტი ჯანინ პირო. დიდი მადლობა ამ საღამოს ჩვენთან ყოფნისთვის.“

შემდეგ ის გადაცემის გეგმას აცნობს მაყურებელს, ასახელებს სტუმრებს რომლებიც მოწვეულ-ნი იქნებიან პროგრამაში. წამყვანი გადაცემას დაახლოებით ექვსწუთიანი მონოლოგით აგრძელებს.

CBS News -ის თოქშოუს “RED & BLUE” წამყვანი შემდეგი სიტყვებით ხსნის: *“Welcome to RED & BLUE I am Ed O’Keefe from CBS News in Washington.Thank you for Joining us”. “კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „წითელ და შავ“-ში,მე ედ ოკიფი ვარ ვაშინგტონის სიბიეს ნიუსიდან. გმადლობთ რომ შემოგვიერთდით“.* ის მოკლედ მიმოიხილავს წინასაარჩევნო გარემოს და იწყებს საუბარს მის ორ რესპონდენტთან. ამის შემდეგ კი სათითაოდ წარადგენს სტუმრებს.

ქართულ თოქშოუში გადაცემის გახსნისას წამყვანები ესალმებიან მაყურებელს, და წარუდგენენ სიახლეებსა და სტუმრებს. თუმცა, აქაც არის განსხვავებები. თოქშოუში „რეაქცია“, წამყვანი მაყურებელს აცნობს თემას და ახდენს ერთ-ერთი პოლიტიკოსის ციტირებას. რასაც მოჰყვება თხუთმეტწუთიანი მონოლოგი, რომლის შემდეგ წამყვანი ამბობს გადაცემის და ტელევიზიის სახელს და იწვევს სტუმრებს: *“TV პირველი”-ს საღამოს ეთერს „რეაქციით“ განვაგრძობთ და სტუდიაში ვთხოვ ხატია დეკანოიძეს და გიგი უგულავას”.*

თოქშოუში „გიორგი თარგამაძის ფორმულა“ გადაცემის დასაწყისში წამყვანი ესალმება აუდიტორიას, აცნობს მათ თემას და ციტირებს ერთ-ერთ პოლიტიკოსს: *„გამარჯობა, მე ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე ვარ. „ფორმულა“-ს ახალი ამბები უკვე მოგიყვათ იმაზე თუ რა მოხდა დღეს, 18 მაისს. მე ვისაუბრებ იმასზე, თუ რატომ და რა შეიძლება მოხდეს“.* მისალმებას მოჰყვება რვაწუთიანი მონოლოგი საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე. შემდეგ ის ჩამოთვლის სტუმრებს, რომლებსაც მოგვიანებით მოიწვევს: *„ქართველი მეცნიერი გია დვალი, ჟურნალისტები ნინო ჟიჟილაშვილი, დიანა ტრაპაიძე და ზუკა გუმბარიძე... დღეს 22 საათზე, თარგამაძის ფორმულაში.“*

ორივეენოვანი თოქშოუს წამყვანები ესალმებიან მაყურებელს და აუდიტორიას. ამერიკული გადაცემებში აღნიშნავენ მათი ეთერში გასვლის დროს, ქართულში - არა. ლინგვისტურად, სიტყვა „გამარჯობა“ გამოიყენება მისალმების ფორმად. გამარჯობა/Hello-ის გამოყენება წამყვანებს საშუალებას აძლევს შექმნან მეგობრული განწყობა პროგრამის დასაწყებად. ამერიკულ ვერსიაში წამყვანი იყენებს სტრუქტურას „Hello and welcome” ამ მაგალითში “welcome“ სემანტიკურად გულისხმობს, რომ წამყვანი სიამოვნებით

მასპინძლობს მაყურებლებს შოუში. სიტყვა „welcome”-ის გამოყენებით, წამყვანი ამზადებს მაყურებლის გონებას გადაცემისთვის. იქმნება უფრო მჭიდრო ურთიერთობა გადაცემის წამყვანსა და აუდიტორიას შორის.

პროგრამის დასახელება მითითებულია თითოეული თოქშოუს შესავალში. ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს, რომ მაყურებელს გაახსენონ თუ რომელ გადაცემას უყურებენ. ინგლისურ-ენოვანი თოქშოუების შემთხვევაში, ნაბიჯი რეალიზდება პრეპოზიციური ფრაზით, რომელიც შედგება წინდებული to-ს და პროგრამის სახელისგან: *“ Welcome to JUSTICE”* და *“Welcome to RED & BLUE“*

ქართული თოქშოუს წამყვანები გადაცემის და ტელევიზიის სახელს რამდენიმე წუთიანი მონოლოგის შემდეგ ამბობენ, ამერიკულ ანალოგში ეს დასაწყისშივე ხდება.

ამერიკული გადაცემის წამყვანები ხაზს უსვამენ საკუთარ ვინაობას, რითაც მასპინ-ძელსა და მაყურებელს შორის ურთიერთობას ბუნებრივს ხდიან, ქართულ თოქშოუებში კი ზოგჯერ წამყვანები საკუთარ სახელს არ ამბობენ, რადგან წამყვანის სახელი გადაცემის სათა-ურშივეა. რაც შეეხება სტუმრების წარდგენას და ეთერში შემოყვანას, ასევე მისალმებას, წამყვანები თითქმის ერთნაირად აკეთებენ ამას. ამერიკულისგან განსხვავებით ქართული გადაცემის სტუმრები უფრო კეთილგანწყობილნი არიან და საუბრის დაწყებამდე თავაზიანად ესალმებიან როგორც წამყვანს, ასევე მაყურებელს. მათი უმეტესობა, წამყვანის და აუდიტორიის სიმპათიის დამსახურებას და კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობს.

გადაცემაში „იმედი live“ თეა წულიუკიანს შემდეგნაირად წარადგენს წამყვანი: *„სტუდიაში უნდა მოვიწვიოთ თეა წულუკიანი, ის დღეს ჩვენი სტუმარია... მოგესალმებით, დიდი მადლობა რომ დღეს ჩვენთან ერთად ხართ.“* წულუკიანი პასუხობს: *„დიდი მადლობა მოწვევისთვის“.*

ელენე ხოშტარიას თოქშოუში „პოლიტმეტრი“ შემდეგნაირად წარადგენენ: *„ჩვენთან ეთერშია ელენე ხოშტარია. მადლობა მას დროისთვის. საღამო მშვიდობისა ქალბატონო ელენე“.* სტუმარი ამბობს *„მადლობა“.*

„პოლიტმეტრ“-ში სალომე სამადაშვილი მადლობით და მისალმებით იწყებს საუბარს: *„მადლობთ ნინო მოწვევისთვის, მივესალმები მაყურებელს“.*

ამერიკელი პოლიტიკოსების უმეტესობა არც კი ესალმება წამყვანსა და მაყურებელს. MSNBC-ის გადაცემაში “REPORTS” ანდრეა მიჩელი სენატორ ჯოშ ჰარდერთან საუბარს მისალმებით იწყებს: *„Congressman, thanks for being with us“. „კონგრესმენო, მადლობა რომ ჩვენთან ერთად ხართ“.* შემდეგ წამყვანი სვამს კითხვას. ჰარდერი პირდაპირ იწყებს კითხვაზე პასუხის გაცემას და არ იყენებს მისალმებისთვის დამახასიათებელ ლექსიკას.

გადაცემაში „All in with Chris Hayes“ წამყვანი ამბობს: *„Congressman Mary Peltola joins me now.Congresswoman, it's great to have you on the program.”„ახლა კონგრესმენი მერი პელტოლა მიერთდება. კონგრესმენო, შესანიშნავია რომ გადაცემაში მონაწილეობთ“.* სტუმარი პირდაპირ იწყებს საუბარს ყოველგვარი მისალმების გარეშე.

CBS News-ის თოქშოუში „PRIMTIME WITH JOHN DICKERSON” წამყვანი წარადგენს სტუმარს: *„For more I want to bring in William Lee. He is the chief Economist at the Milken Institute. William welcome“. „უფრო მეტი ინფორმაციისთვის ვიწვევ უილიამ ლის. ის მილკენის ინსტიტუტის წამყვანი ეკონომისტია, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, უილიამ“.*

წინა მაგალითების მსგავსად არც ამ შემთხვევაში ესალმება სტუმარი გადაცემის წამყვანს და საუბრის დაწყებისთანავე ჟურნალისტის დასმულ კითხვას სცემს პასუხს. ამის სავარაუდო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სტუმრების უმეტესობას გადაცემის დაწყებამდე აქვთ კომუნიკაცია წამყვანთან.

თოქშოუების ანალიზთ გამოჩნდა, რომ ქართველი სტუმრები მისალმებით თავაზიანობას გამოხატავენ და სასურველ იმიჯს იქმნიან. ამერიკელი პოლიტიკოსების მხრიდან კი მისალმების უგულებელყოფა გასაოცარია, რადგან მათ კარგად ესმით თუ რამდენად მნიშვნელოვანია აუდიტორიის წინაშე სწორად პოზირება და წამყვანისა და მაყურებლის კეთილგანწყობის მოპოვება. ქართულ და ინგლისურ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადჰყო, რომ: ქართული თოქშოუების უმეტესობა ამერიკული გადაცემების ასლია. ორივეენოვან თოქშოუებში შოუს გახსნის სიგნალად გამოიყენება ვიზუალური სიგნალი, შოუს ქუდი და სპეციალური მუსიკა.

- ამერიკულ და ქართულ თოქშოუებში გარემო (სტუდია) და დრო არის წინასწარ განსაზღვრული. მსგავსება შეინიშნება ასევე სტუდიის გაფორმების კუთხით.
- ორივეენოვან თოქშოუში ფიქსირდება გადაცემის გახსნის ელემენტების თანმიმდევრობის გადაადგილება ან გამოტოვება. მაგალითად, ამერიკული თოქშოუს წამყვანი მაყურებელს გადაცემის დაწყებისთანავე ესალმება, ქართული თოქშოუების შემთხვევაში, კი ეს თანმიმდევრობა ყოველთვის არ არის დაცული.
- ქართულ თოქშოუებში უფრო ხანგრძლივი მონოლოგია, ვიდრე ამერიკულში.
- როგორც ამერიკულ ისე ქართულ თოქშოუებში წამყვანები სტუმრებს წარადგენენ სრული სახელით. ისინი იყენებენ ფორმალურ სტილს.
- ამერიკულ თოქშოუებში მოწვეული სტუმრების უმეტესობა არ ესალმება წამყვანს და მაყურებელს, ქართულ გადაცემებში კი სტუმრები თავაზიანობით გამოირჩევიან და თითქმის ყოველთვის იყენებენ მისალმებასთან დაკავშირებულ ლექსიკას.

ლიტერატურა:

1. https://www.youtube.com/watch?v=3-VVzlw8Jm0&t=762s
2. https://www.youtube.com/watch?v=hw4m07yYw9A
3. https://www.youtube.com/watch?v=Izn4EvMGdeU
4. https://www.youtube.com/watch?v=K8I0W8VpDFQ
5. https://www.youtube.com/watch?v=Li2414VOhSU&t=210s
6. https://www.youtube.com/watch?v=nOCHtcNMp_I&list=PLEb3ThbkPrFbXIh2RZjegnHqDxZBmXlL7&index=3
7. https://www.youtube.com/watch?v=Nqdv0e4-7Ns
8. https://www.youtube.com/watch?v=NRbKIBC2Ujk
9. https://www.youtube.com/watch?v=P-4V1HP-TOs
10. https://www.youtube.com/watch?v=VjSWQnr5hJU
11. https://www.youtube.com/watch?v=yNbHuS_9is&list=PLEb3ThbkPrFYkskV7LDSrBVLL1ueCAEAW

Salome Dvalishvili

Akaki Tsereteli State University

Comparative analysis of the opening markers of Georgian and American political talk shows

Abstract

The presented article deals with a comparative analysis of the opening markers of popular Georgian and American political talk shows. Opening signals play an important role in any discourse. These signals vary according to national and cultural characteristics. My goal is to review the following Georgian and American political talk shows: Reaction, Giorgi Targamadze's formula, Imedi live, Politmeter, Sanaya, JUSTICE, RED&BLUE, All in with Chris Hayes, REPORTS, PRIMTIME WITH JOHN DICKERSON, and after studying the structure of the programs' introduction and linguistic realization, identify specific markers: Which opening signals are used in Georgian and

American political talk shows? How identical is the length of the monologue? Are there any differences in guest introduction? etc.

Keywords: political talk show, opening markers, greeting, monologue

რეცენზენტი: პროფესორი ირინა გოშხეთელიანი